სკოპინგის დასკვნა N29

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: „ნატახტარი (წიწამური)-რუსთავის მონაკვეთის წიწამური-ავჭალის უბნის (ლოტი #2)“ მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მცხეთის და თბილისის მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 25.07.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წარმოდგენილია მცხეთის და თბილისის მუნიციპალიტეტებში, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოვლითი გზის - ნატახტარი (წიწამური) - რუსთავის მონაკვეთის (ოთხი ლოტიდან ერთ-ერთის), წიწამური-ავჭალის უბნის (ლოტი #2) მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოვლითი გზის ნატახტარი-რუსთავის მონაკვეთის - (ლოტი 2) მშენებლობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია მცხეთის და თბილისის მუნიციპალიტეტების საზღვრებში. სკოპინგის ანგარიშში, წიწამური-ავჭალის უბნის (ლოტი #2) პირობითად დაყოფილია სამ ნაწილად: **მონაკვეთი 1** - E60-ის მოდერნიზაცია და წიწამურის ახალი კვანძის მოწყობა; **მონაკვეთი 2** - გვირაბი წიწამურიდან ავჭალამდე; **მონაკვეთი 3** - დაკავშირება თბილისის შემოვლითი რკინიგზის მიტოვებულ დერეფანთან. საპროექტო გზის (ლოტი 2) საწყისი წერტილი მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წიწამურის მიმდებარედ, საიდანაც საპროექტო გზის დერეფანი გაივლის მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, გრძელდება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და შედის თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, საპროექტო გზის საწყისი და საბოლოო წერტილების GPS კოორდინატებია: X- 477671.44, Y-4634915.83; X-482562.43, Y-4630344.05.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო მონაკვეთის (ლოტი 2-ის) სიგრძეა **6.5 კმ.** საავტომობილო გზის დერეფანში გათვალისწინებულია **8 ერთეული ხიდისა და 2 ერთეული პარარელური გვირაბის მოწყობა**. ხიდების ჯამური სიგრძეა **3 კმ**, გვირაბების **- 7 კმ (თითოეულის სიგრძე - 3,5 კმ)**. საპროექტო გზის შერჩეული ალტერნატივის დერეფანში ხვდება 3 დასახლებული პუნქტი (წიწამური, მცხეთა, თბილისი). უახლოესი მანძილი

საპროექტო გზის დერეფნიდან უახლოეს დაცულ ტერიტორიამდე, თბილისის ეროვნულ პარკამდე და ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტის - საგურამოს (GE0000047) საზღვრებამდე შეადგენს 530 მეტრს. საპროექტო დერეფანი არ მდებარეობს ფრინველთათვის მნიშვნელოვან (IBA) და ფრინველთა სპეციალურ დაცულ (SPA) ტერიტორიებზე.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია საავტომობილო გზის ადგილმდებარეობის, გზის გაყვანის ტექნოლოგიისა და უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივები. სკოპინგის ანგარიშში მოცემულია გზის მთლიანი მონაკვეთის (ნატახტარი (წიწამური)-რუსთავის მონაკვეთის) ადგილმდებარეობის 4 ალტერნატიული ვარიანტის (TB1, TB2, TB3 და TB4) ურთიერთშედარების შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გარემოსდაცვითი, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ურთიერთშედარების საფუძველზე უპირატესობა მიენიჭა „TB 4“ ალტერნატივას.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო მონაკვეთებზე გათვალისწინებულია ორი კვანძის მოწყობა. სოფ წიწამურთან და საპროექტო გზის მონაკვეთის ბოლოს, გვირაბის სამხრეთი პორტალის შემდეგ, დაახლოებით 760 მეტრში. კვანძების მოწყობა დაგეგმილია დასახლებულ პუნქტებთან შეუფერხებელი გადაადგილებისა და მაგისტრალზე წვდომის უზრუნველყოფის გათვალისწინებით. საპროექტო გზაზე მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე იქნება 120 კმ/სთ, სავალი ზოლების რაოდენობა - 4x3.75 მ.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტით გათვალისწინებული ხიდები არ კვეთს ზედაპირული წყლის ობიექტებს. ხიდების მოწყობის პროცესში გამოყენებული იქნება „I“-სებრი კოჭები. კოჭების ატანა განხორციელდება მობილური ამწეების გამოყენების მეშვეობით. ნაშენი ფენილი ფორმირდება კოჭების დაწყობის შემდეგ ბეტონის ფენის დასხმით. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსაწყობი ხიდების შესახებ, თითოეული ხიდის განთავსების ადგილების აღწერით, ფიზიკური მახასიათებლებისა და ტექნიკური პარამეტრების მითითებით.**

საპროექტო გზის ფარგლებში დაგეგმილია ორი ერთეული პარარელური ორზოლიანი გვირაბის მოწყობა. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გვირაბების გასწვრივ მოეწყობა ავარიული დერეფანი გასასვლელებით. გვირაბები აღჭურვილი იქნება: ვენტილაციის (მათ შორის საევაკუაციო დერეფანში), ავარიული სადგურებით, სიჩქარის რადარების, საგზაო შუქნიშნების, ხანძრის დეტექტირების და ქრობის, ელექტრომომარაგების და განაწილების, განათების, ავარიული (საევაკუაციო) განათების, რადიოგანაწილების და გადაცემის სისტემებით, მონაცემთა გადაცემის ქსელით და ავტომატიზაციის სისტემით, გზის მაშუქი მარკერებით, მართვის ცენტრით და დრენაჟის ქსელით. გვირაბების დერეფანი გაივლის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის ჯვრის მონასტრიდან დაახლოებით 1,2 კმ-ის დაშორებით, აღნიშნულის გათვალისწინებით, ე.წ „ჯვრის გვირაბის” მოწყობისას გამოყენებული იქნება ე.წ. გვირაბის გასაყვანი კომბაინი და ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები

არ იწარმოებს. გვირაბის პორტალების უბნებზე მოეწყობა სამაგრი კედელი (ე.წ მიკროხიმინჯები), მოხდება მიწის უკუჩაყრა, რელიეფის პროფილირება და რეკულტივაცია, რაც შეამცირებს ვიზუალურ ზემოქმედებას.

გვირაბის მონაკვეთის მშენებლობის პროცესი დაკავშირებული იქნება ფუჭი ქანების წარმოქმნასთან. **გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოსაქმნელი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მართვის (დროებითი და მუდმივი დასაწყობების ადგილების მითითებით) შესახებ.**

სკოპინგის ანგარიშში სამშენებლო ბანაკების კონკრეტული ლოკაციები მითითებული არ არის. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამშენებლო ბანაკების ტერიტორიის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა კრიტერიუმები და რეკომენდაციები, მათ შორის: ბანაკის მოწყობა სამშენებლო უბნების სიახლოვეს, ადვილად მისადგომ, მცენარეული საფარის თვალსაზრისით და ცხოველთა სამყაროსთვის ნაკლებად ღირებულ ტერიტორიაზე, სენსიტიური უბნებიდან (მაგ: მდინარის კალაპოტი, ისტორიული ძეგლები, შესაძლო არქეოლოგიური ზონები და სხვ.) მოშორებით, ასევე გათვალისწინებული იქნება არსებული ინფრასტრუქტურა, სამოძრაო გზები და მათი დატვირთვა. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია სამშენებლო ბანაკებისა და მათ შორის სამშენებლო უბნ(ებ)ის ადგილმდებარეობის შესახებ.**

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გზის მშენებლობის პროცესში ზემოქმედების ქვეშ ექცევა **მაღალი წნევის გაზსადენები** (მფლობელები/ოპერატორები: ნავთობის და გაზის საერთაშორისო კორპორაცია (D=750მმ), შპს „თბილისი ენერჯი“ (D=315, D=220მმ), საშუალო წნევის (შპს „რაკია აპთაუნ დეველოპმენტი“ (D=150მმ), „ვისოლგაზი“ (D=150მმ), დიღმის გაზი (D=150მმ) ტრანსგაზი (D=150მმ), „ეკოგაზი“ (D=150მმ), „ასტრაგაზი“ (D=150მმ), დაბალი წნევს (შპს „თბილისი ენერჯი“ (D=100მმ); **წყალმომარაგების მილები** (მფლობელები/ოპერატორები: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, D=100მმ, 900მმ, 1200მმ, 1400მმ), **გვირაბები** (1.5 x1.8 მ); **ელექტროგადამცემი ხაზები** (მფლობელები/ოპერატორები: სს ენერგო პრო ჯორჯია (110კვ), საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (220კვ), სს „თელასი” (0.4კვ, 25კვ, 110კვ); **საკომუნიკაციო კაბელები** (მფლობელები/ოპერატორები: სს „სილქნეტი”, შპს „დელტა კომმის, შპს ოპტიკურ–ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი, შპს „პისი მაქსი”). **გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს განხილული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად საპროექტო არეალში არსებული კომუნიკაციებისა და მასზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი ტექნიკური-საინჟინრო გადაწყვეტების მითითებით), ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული კომუნიკაციების მფლობელების ინფორმირებისა და მათთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, წიწამური-ავჭალის (ლოტი 2) მონაკვეთზე პროექტის ზემოქმედების ზონაში ექცევა 275 მიწის ნაკვეთი, საიდანაც ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია, ნაწილი დატვირთულია სერვიტუტის უფლებით. ლოტი 2-ის დერეფანში

მოქცეულ ნაკვეთებზე განთავსებულია 41 შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელი სახლები და კომერციული ობიექტები), ასევე პროექტის დერეფანში ხვდება 250 შინამეურნეობა (750 პირი).

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გეოლოგიური პროცესები საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში სხვადასხვა სახით და ინტენსივობით ვლინდება. წიწამური-ჯვრის ზონაში მეწყრული საფრთხის შემცველი მონაკვეთები საპროექტო გზის დერეფნის საზღვრებში ან მის უშუალო სიახლოვეს არ ხვდება. მეწყრული მონაკვეთი აღნიშნულ უბანზე გზის პირველი გვირაბის გამოსასვლელი პორტალიდან 1 კმ-ზე მეტით არის დაშორებული. მეწყრული ფერდი ეროზიულ-დენუდაციური გენეზისისაა, აქვს სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიცია. მცხეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ფიქსირდება მეწყრული, ღვარცოფული, შეტბორვითი, ნაპირების წარეცხვის და ქვათაცვენის პროცესები. მდინარე არაგვი და მცირე მდინარეები/მშრალი ხევები კალაპოტი ხასიათდება ნაშალი მიწის ჩამოშლის და ღვარცოფების საფრთხით. საგურამო-ავჭალის მონაკვეთში არაგვს მარცხნიდან უერთდება ორი უსახელო მცირე მდინარე, რომლებიც საკვლევ ბუფერში არაგვის ტერასაზე და ნაწილობრივ ძირითად ქანებში ღრმა ხეობებს გამოიმუშავებენ, ხოლო არაგვის კალაპოტში მცირე გამოტანის კონუსებს ქმნიან. **გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური, გეოდინამიკური და გეომორფოლოგიური პირობები, ასევე შესაბამისი კვლევების საფუძველზე სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული გასატარებელი საინჟინრო ღონისძიებები.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მიწის სამუშაოების, ტექნიკის/სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების და მუშაობისას ადგილი ექნება ხმაურის გავრცელებას და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას. ექსპლუატაციის ეტაპზე ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების მოახდენს გზაზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები. ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, ასევე მოხდება გზის და ინფრასტრუქტურის შეკეთებისას. აღნიშნული მოვლენების/პროცესების პრევენციისა და შერბილების მიზნით, მოხდება სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა: სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, მათ შორის სახურავში წნევის შემოწმება; ძველი, დაზიანებული, გაუმართავი ტექნიკის გამოყენების აკრძალვა და სხვ. ხმაური და ვიბრაცია პროექტის სხვადასხვა ეტაპზე დაკავშირებულია მძიმე სამშენებლო ტექნიკის მუშაობასთან-გადაადგილებასთან, მანქანების მოძრაობასთან, გასხვისების ზოლის/განსახლების დერეფნის საზღვრებში კონსტრუქციების დემონტაჟის, ზოგიერთ უბანზე ასფალტის საფარის მოხსნასთან. მშენებლობის დროს ხმაურის და ვიბრაციის დონე დამოკიდებული იქნება ერთდროულად მომუშავე ტექნიკის

რაოდენობაზე და მუშაობის რეჟიმზე როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპებზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შესამცირებლად გატარდება სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: ვიბრაციის წარმომქმნელი სამუშაოების (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვირაბის გაყვანის სამუშაოები) შესრულებამდე შესაძლო ზემოქმედების ზონაში (50 მ რადიუსში) არსებული შენობების დათვალიერება და მდგომარეობის დაფიქსირება. ნაკლები ხმაურის წარმომქმნელი აღჭურვილობის გამოყენება; ტექნიკურად გამართული მანქანების სამშენებლო ტექნიკის გამოყენება; სამშენებლო ტექნიკის/მანქანების გამართულობის რეგულარული შემოწმება/კონტროლი სამუშაოს დაწყებამდე და სხვ.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო გზა არ მდებარეობს ზედაპირული წყლის ობიექტების სიახლოვეს, აღნიშნულიდან გამომდინარე ზედაპირულ წყლის ობიექტზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის განხორციელება დაკავშირებულია ბიოლოგიურ ზემოქმედებასთან, რაც გულისხმობს ჰაბიტატების შესაძლო ფრაგმენტაციასა და ხე-მცენარეების გარემოდან ამოღებას. განსახილველი გზის (ლოტი 2) დერეფანი, მცირე მონაკვეთის გარდა, გაივლის არსებულის გზის დერეფანში. წინასწარი მონაცემებით დაცული სახეობების არც საბინადრო და არც საბუდარი ადგილები არ ფიქსირდება. ამასთან, საპროექტო გზის მონაკვეთი დაშორებულია დაცული ტერიტორიებისგან (თბილისის ეროვნული პარკი და ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი GE0000047 - საგურამო) 530 მ მანძილით.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, shp ფაილების მიხედვით, მთლიანი **703678 კვ.მ** ფართობიდან, **6777 კვ.მ** წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტყის სტატუსის შეწყვეტის უფლების მოპოვება. **გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული (შესაბამისი კვლევების საფუძველზე) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება და წარმოდგენილი უნდა იქნეს ეფექტური შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები.**

პროექტის განხორციელების, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის (გზის ინფრასტრუქტურის ტექმომსახურება-შეკეთება) ეტაპზე მოსალოდნელია ინერტული და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ნარჩენების წარმოქმნით გამოწვეული ზემოქმედების, წარმოსაქმნელი ნარჩენებისა და მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მოსამზადებელი (წინასამშენებლო) და სამშენებლო სამუშაოების დროს ადგილი ექნება გარკვეულ ლანდშაფტურ-ვიზუალურ ცვლილებებს, რაც ძირითადად დაკავშირებული იქნება სამუშაო უბნებზე მანქანა/დანადგარების მუშაობასთან, საიტზე და მის გარეთ სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობასთან, დროებითი ობიექტების

მოწყობასთან (მანქანების სადგომი, მასალისა და ნარჩენების განთავსების ადგილები, ბანაკი (არსებობის შემთხვევაში), გვირაბიდან გამოტენილი მასალის სანაყაროს, გზის, ხიდების და გვირაბების პორტალების მშენებლობის მონაკვეთებთან. მშენებლობის დასრულების შემდეგ, იმ უბნებზე, სადაც გზა ახალ კონსტრუქციას წარმოადგენს მოხდება ლანდშაფტური ცვლილება, განსაკუთრებით ახალი კონსტრუქციების (ხიდები, გვირაბის პორტალები) მოწყობის მონაკვეთებზე. ასევე ვიზუალურ-ლანდშაფტური თვალსაზრისით, საყურადღებოა წიწამური-ჯვრის უბანი, რომელიც მცხეთის ისტორიული ძეგლების ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალს კვეთს, გადის ისტორიული ლანდშაფტის დაცვის და განაშენიანების მართვადი ზონის საზღვარზე და ნაწილობრივ, კვეთს ლანდშაფტის დაცვის ზონას. **საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ლოტი 2-ის საპროექტო მონაკვეთი ექცევა „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების: ჯვრის მონასტრის, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრისა და სამთავროს მონასტრის ინდივიდუალური დამცავი ზონის გაფართოებისა და მათი ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის N03/212 ბრძანებით განსაზღვრული მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის („მცხეთის ისტორიული ძეგლები“) ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე დეტალურად იქნეს შეფასებულია ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედება.**

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ წარმოდგენილია სხვადასხვა სტატუსისა და კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლები. საპროექტო დერეფნის ზოგიერთი უბანი სენსიტიურია, სადაც მშენებლობის დაწყებამდე არქეოლოგიური სამუშაოები და/ან სამუშაოების დროს სპეციალისტის ზედამხედველობაა აუცილებელი. **გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე/ობიექტებზე და რელიგიური/სარიტუალო დანიშნულების ობიექტებზე შესაძლო ზემოქმედების საკითხები და ასევე შესაბამისი კვლევების საფუძველზე, სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია.**

კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო გზის მშენებლობის ეტაპზე სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები არ იგეგმება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა მცხეთისა და თბილისის მუნიციპალიტეტებში ინფორმაციის

გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქის გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. ამასთან, ინფორმაცია განთავსდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2023 წლის 18 აგვისტოს, მცხეთის მუნიციპალიტეტში, საგურამოს თემის დავით გურამიშვილის სახელობის ბიბლიოთეკისა და ქ. თბილისში, N48 ბაგა-ბაღის შენობებში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „გამა კონსალტინგის“, მცხეთისა და თბილისის მუნიციპალიტეტის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვებზე დამსწრეთა პირთა მხრიდან, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

<u>**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**</u>

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;

2. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;

2.1 **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

3. <u>**გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც**</u>

<u>მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.</u>

4. <u>გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:</u>

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნიკური პარამეტრების ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. **გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული საავტომობილო გზისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (სამშენებლო ბანაკები, სანაყაროები და სხვ.) განთავსების ალტერნატიული ვარიანტებიდან შერჩეული ალტერნატივების გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;**
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა-დახასიათება, საპროექტო გზის ინფრასტრუქტურის ობიექტების აღწერა;
- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო-პირობების დახასიათება;
- მთლიანი გზის და საპროექტო გზის (წიწამური-ავჭალის უბანი - ლოტი #2) გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება გზის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტები. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო გზის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად (Shp ფაილები შესაბამისობაში უნდა იყოს გზის საპროექტო მახასიათებლებთან, ასევე ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი საავტომობილო გზის, ხიდების, გვირაბების, ესტაკადების ფენები და ბუფერული ზონები);
- საპროექტო გზიდან და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, მდინარემდე და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე დაზუსტებული მანძილები;
- საპროექტო გზის ტექნიკური პარამეტრები (სიგრძე, სიგანე, ქანობი და სხვ.), მათ შორის: გზის კვანძების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, გეომეტრიული პარამეტრების, გზის საფარისა და განივი კვეთების შესახებ ინფორმაცია, ასევე ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო გზის გასასვლელების, წყალსარინი არების მოწყობის, პროფილირების და განივი დრენაჟის მილების/კიუვეტების მოწყობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;

- საპროექტო ხიდების დეტალური აღწერა, მათ შორის ხიდების ტექნიკური პარამეტრები (ბურჯების, მალის ნაშენის პარამეტრები და სხვ.), ხიდის საფარის, განივი კვეთების, სამოძრაო ზოლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენისგან საავტომობილო გზის დაცვის ღონისძიებებისა და შემოთავაზებული დამცავი ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ;
- საპროექტო გვირაბების ტექნიკური პარამეტრების შესახებ ინფორმაცია (სიგრძე, სიმაღლე და დიამეტრი, განივი კვეთების, სამოძრაო ზოლების შესახებ ინფორმაცია), ინფორმაცია გვირაბების კონსტრუქციის შესახებ, გვირაბების პორტალებისა და მათი მოწყობის გეგმის, ასევე გვირაბების სავენტილაციო სისტემის და ჰიდროსაიზოლაციო ფენის შესახებ;
- ინფორმაცია გვირაბების კონსტრუქციის შესახებ და გვირაბების ჰიდროიზოლაციის მოწყობის შესახებ (მათ შორის განხილული უნდა იქნეს გვირაბის გაყვანის დროს გრუნტის წყლების შემოდინებისა და მართვის საკითხები), ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სამშენებლო შტოლნების შესახებ;
- გვირაბში წყალსარინი არხების/ღარების ან/და დრენაჟის მილების მოწყობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია გვირაბების პორტალებთან დამაკავშირებელი მონაკვეთების/მისასვლელების მშენებლობის შესახებ, საპროექტო პარამეტრების, მშენებლობის გეგმისა და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია გვირაბების გაყვანის შერჩეული მეთოდის შესახებ. ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს განხილული გვირაბების გაყვანის სამუშაოებისა და შემდგომი ექსპლუატაციის საკითხები;
- **გზშ-ის ანგარიშში მითითებული და ერთმანეთისგან გამოყოფილი (shp ფაილები და სქემატურ ნახაზებზე ასახვით) უნდა იყოს გვირაბების კონკრეტული მონაკვეთები, სადაც მოხდება აფეთქებითი სამუშაოების განხორციელება და ე.წ. გვირაბის გასაყვანი კომბაინის გამოყენება;**
- ინფორმაცია გვირაბების გაყვანის ფარგლებში ასაფეთქებელი ნივთიერებების ტრანსპორტირების, დასაწყობებისა და გამოყენების პირობების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია/გეგმა ბურღვა-აფეთქებების სამუშაოების განხორციელების სიხშირის და დღის მონაკვეთის შესახებ. მათ შორის, აფეთქებითი სამუშაოების ჩატარების დროის შეზღუდვის შესახებ ინფორმაცია;
- გვირაბში წყალსარინი არხების/ღარების ან/და დრენაჟის მილების მოწყობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია გვირაბების მოწყობა-ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ნაჟური წყლების მართვის შესახებ, მათ შორის ნაჟური წყლების ორგანიზებულად შეკრებისა და მისი ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, საბოლოო ჩაშვების პირობებისა და წერტილის მითითებით;

- გვირაბების სიახლოვეს სახანძრო-სატუმბი სადგურისა და წყლის რეზერვუარის მოწყობის საჭიროების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია (წყალმომარაგების შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მისასვლელი გზებისა და მოწყობის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია ფერდობის ჩამოჭრის საჭიროების შესახებ, შესაძლო გეოდინამიკური რისკების გააქტიურებისა და მათი მართვის ღონისძიებების მითითებით;
- ევაკუაციის შემთხვევაში საჭირო გასასვლელების, მათ შორის შტოლნის მოწყობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- პროექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით. მათ შორის, გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია ობიექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა" და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- დეტალური ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების შესახებ, გამოსაყენებელი წყლის რაოდენობისა და მოპოვების პირობების მითითებით; ამასთან ინფორმაცია წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის შესახებ, მათ შორის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შემთხვევაში ინფორმაცია - გამწმენდი ნაგებობების განთავსების ადგილების; მოწყობის გეგმის; გამწმენდების ტიპის; პარამეტრების; წარმადობის; ტექნოლოგიური სქემისა და გაწმენდის ეფექტურობის შესახებ; ასევე ინფორმაცია გამწმენდ ნაგებობებში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ; გამწმენდი ნაგებობებიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- დეტალური ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სანიაღვრე, მათ შორის გვირაბების გარეცხვის ან/და ხანძარქრობის შედეგად წარმოქმნილი წყლების მართვის შესახებ;
- საშიში გეოდინამიკური პროცესებისგან დასაცავად გათვალისწინებული საინჟინრო ღონისძიებების, ასევე მდინარის ეროზიული, ღვარცოფული ზემოქმედებისგან დამცავი ნაგებობ(ებ)ის მოწყობის შესახებ - ნაგებობ(ებ)ის ტიპის, პარამეტრებისა და ეფექტურობის მითითებით (ნაგებობები ასახული უნდა იქნეს shp ფაილებზე და სქემატურ ნახაზებზე). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობ(ებ)ის მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;

- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის მითითებით, ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

4.1 <u>**პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების, მათ შორის სამშენებლო ბანაკისა და სანაყაროს, შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:**</u>

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის და ვადების მითითებით (გვირაბების, სახიდე გადასასვლელების და სხვა მონაკვეთების სამშენებლო სამუშაოების მითითებით), მათ შორის გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც განსახილველი, ასევე დაგეგმილი ლოტების სამშენებლო სამუშაოების ვადების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მართვის საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების მუდმივი/დროებითი ადგილების (სანაყაროები) შესახებ დეტალური ინფორმაცია სანაყაროების ფართობისა და GPS კოორდინატების (shp ფაილებთან ერთად) მითითებით). დასაბუთებული უნდა იყოს სანაყარო(ები)ს განთავსებისთვის შერჩეული ადგილ(ებ)ის გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური უპირატესობები;
- ფუჭი ქანების დასაწყობების პროცესში სანაყაროს სტაბილიზაციის ღონისძიებების გატარების საჭიროების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ის/სამშენებლო მოედან(ებ)ის შესახებ, ბანაკ(ებ)ის/მოედან(ებ)ის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მითითებით. მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იყოს ბანაკ(ებ)ის/მოედან(ებ)ის ასევე დაზუსტებული ადგილმდებარეობის (GPS კოორდინატების მითითებით, shp ფაილებთან ერთად), ფართობისა და განსათავსებელი ობიექტების შესახებ ინფორმაცია, გენ-გეგმისა და შესაბამისი ექსპლიკაციის მითითებით. შერჩეული ტერიტორიის დეტალური აღწერა დახასიათება. **ამასთან, დასაბუთებული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკ(ებ)ის განთავსებისთვის შერჩეული ადგილის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები;**

- ობიექტის მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტების მოწყობის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის: დაზუსტებული ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე ბეტონის კვანძისა და სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს მოწყობის შესახებ, შესაბამისი ფიზიკური მახასიათებლების მითითებით. ამასთან, განხილული უნდა იქნეს ბეტონის კვანძისა და სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს ექსპლუატაციის ეტაპთან დაკავშირებული ზემოქმედების საკითხები (მოწყობის შემთხვევაში);
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის ტერიტორიაზე (არსებობის შემთხვევაში) საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია.

4.2 გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (მათ შორის მონაკვეთის პიკეტური აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე;
- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ფუჭი ქანების განთავსების ადგილების (სანაყაროები) და სამშენებლო ბანაკის მოწყობისათვის საჭირო შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა განსახილველად.

4.3 <u>გზშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგს:</u>

- ბიომრავალფეროვნების კუთხით ჩატარებული კვლევები მოიცავს 2019-2021 წლებს. გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში (მათ შორის მიმდებარედ განთავსებულ დაცულ ტერიტორიაზე) არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელი

ნუსხით" დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად;

- ზემოაღნიშნულ კვლევების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები (ასეთის საჭიროების არსებობის შემთხვევაში) და მონიტორინგის გეგმა, სადაც სამონიტორინგო დაკვირვებები მოცემული იქნება ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტისთვის. მონიტორინგის გეგმაში უნდა აისახოს მონიტორინგის წარმოების ხანგრძლივობის/პერიოდულობის და სააგენტოსთან/სამინისტროსთან ანგარიშგების პერიოდულობის შესახებ გრაფები, სათანადო ინფორმაციით. ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხების გეგმაში სრულფასოვნად ასახვაზეც, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ქმედებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;
- მიზანშეწონილია გზშ-ის დოკუმენტში სამშენებლო ბანაკის, სამშენებლო და სასაწყობე მოედნების და სხვა ამგვარი ინფრასტრუქტურის მოწყობის დეტალებისა და ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების, ასევე პრევენციული ღონისძიებების თაობაზე კონკრეტული და დეტალური ინფორმაციის ასახვა, მათ შორის განთავსების წინასწარ მოაზრებული ადგილების და ამ ობიექტების ოდენობის შესახებ.
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის, სამშენებლო ბანაკის, ფუჭი ქანების სანაყაროს განთავსების და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობის ალტერნატიულ ვარიანტებზე, მათ შორის ყურადღება უნდა გამახვილდეს ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების კუთხით.

5. <u>**პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:**</u>

- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის (არსებობის შემთხვევაში) მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები;
    - საპროექტო გზის, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების

შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მათ შორის, ყურადღება გამახვილდეს ბურღვა-აფეთქების დროს მოსალოდნელი ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებაზე და შესაძლო ზემოქმედების სახეებზე. **ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება დეტალურად შეფასებული უნდა იქნეს გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე, შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;**

- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია მდ. არაგვის და მისი შენაკადების ჰიდროლოგიური რეჟიმის (მათ შორის, მაქსიმალური ხარჯები, კალაპოტის გარეცხვის სიმაღლე და სხვ) შესახებ. ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს მაქსიმალური წყალმოვარდნის კოეფიციენტის შესახებ ინფორმაცია, რომელზეც იქნება დაპროექტებული საავტომობილო გზა, განსაკუთრებით სახიდე მონაკვეთები და ნაპირდამცავი ნაგებობები;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, ეფექტური და დასაბუთებული შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის განხორციელების ფარგლებში, ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიოლოგიურ გარემოზე, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის (გვირაბების გაყვანა) გათვალისწინებით ყურადღება გამახვილდეს მღრღნელებზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე, შემარბილებელი/პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალური შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. გზშ-ის

ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოქმედებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების მფლობელების ინფორმირებისა და მათთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

- ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ, ასევე ინფორმაცია საჯარო განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინების შესახებ;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტ(ებ)ი, რათა გამოირიცხოს შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების რისკები);
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.
- **გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს განხილული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად საპროექტო არეალში არსებული კომუნიკაციებისა და მასზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი ტექნიკური-საინჟინრო გადაწყვეტების მითითებით), ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოქმედებას დაქვემდებარებული კომუნიკაციების მფლობელების ინფორმირებისა და მათთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, გზშ-ის ანგარიშში ცალკე ქვეთავში უნდა აისახოს კომუნიკაციების გადატანის შედეგად გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები;**
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- **პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება როგორც მშენებლობის, ასევ ექსპლუატაციის ეტაპებზე, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასების ნაწილში განხილული უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მსგავსი და სხვა მასშტაბური ტიპის (როგორც მიმდინარე, ისე დაგეგმილი) ობიექტების სამშენებლო სამუშაოები.**
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;

- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შემუშავებული **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა** (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. <u>საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:</u>

- გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ყველა შესაძლო დაბინძურების შემარბილებელი ღონისძიებები როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პერიოდში;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი ნაპირსამაგრი და სხვა საინჟინრო ნაგებობების დეტალური ინფორმაცია (საპროექტო ნაგებობების განლაგება, განივი და გრძივი პროფილები და ა.შ).
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ლოტი 2-ის საპროექტო მონაკვეთი ექცევა „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების: ჯვრის მონასტრის, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრისა და სამთავროს მონასტრის ინდივიდუალური დამცავი ზონის გაფართოებისა და მათი ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის N03/212 ბრძანების დანართით განსაზღვრული მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის („მცხეთის ისტორიული ძეგლები“) ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალში (ბუფერული ზონა) და ამასთან, მდებარეობს ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების კორექტირებულ საზღვრებში, კერძოდ, განაშენიანების რეგულირების ზონასა და ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში. ამასთან, სკოპინგის ანგარიშში მოცემული ყველა ალტერნატიული ტრასა ექცევა „ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმის ამოქმედების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 03 აგვისტოს N411 დადგენილების (შემდეგში - N411 „დადგენილება“) N1 დანართით განსაზღვრულ მცხეთის მორატორიუმის ფარგლებში. სკოპინგის ანგარიშში განხილული ალტერნატივებიდან უპირატესობა მინიჭებული აქვს TB4 ალტერნატივას, რომელიც გულისხმობს წიწამურის ველზე ახალი გზის მონაკვეთისა და ჯვრის მონასტრის ქედის უკანა ნაწილში გვირაბის გაჭრას, ავჭალამდე. ანგარიშის

თანახმად, გარემოს სენსიტიურობის გათვალისწინებით, ჯვრის გვირაბის მოწყობისას გამოყენებული იქნება ე.წ. გვირაბის გასაყვანი კომბაინი და ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები არ იწარმოებს (გვ. 81, ქვეთავი 3.8.3. „გვირაბები“), თუმცა ანგარიშში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული აღნიშნული მეთოდის გამოყენებით წარმოებული სამუშაოების შესაძლო გავლენა (გავლენის ფორმა) მიმდებარედ არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და პირველ ყოვლისა, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ ჯვრის მონასტერზე. სააგენტოს ცნობით, ლოტი 2-ის წიწამურის ტერიტორია სენსიტიურია არქეოლოგიური თვალსაზრისითაც: სხვადასხვა დროს აქ აღმოჩენილია წიწამურის სამაროვანი და ნამოსახლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო მონაკვეთზე მიწის სამუშაოებს წინ უნდა უსწრებდეს მეორე ეტაპით გათვალისწინებული არქეოლოგიური სამუშაოები. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის N05/2147 წერილით პროექტის შემსრულებელს მიეწოდა ინფორმაცია სააგენტოში წარდგენილი საპროექტო არეალისა და კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების კვეთის შესახებ და N411 დადგენილების N3 დანართის მე-4 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილ იქნა „ICOMOS”-ის „მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურული მემკვიდრეობის შეფასების სახელმძღვანელო“. **შესაბამისად სააგენტოში წარდგენილი უნდა იყოს „მსოფლიო მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი“ (Heritage Impact Assessment - HIA). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შერჩეული საპროექტო მონაკვეთისთვის დამატებით უნდა ჩატარდეს „მსოფლიო მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ და დაინტერესებული მხარის მიერ ანგარიშის შედეგები წარდგენილი უნდა იქნეს სააგენტოში, რათა სააგენტოს შესაბამის სამსახურებს მიეცეთ საკითხზე სრულყოფილი მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია;**

- სკოპინგის ანგარიშში მდ. მტკვრის საზრდოობასთან დაკავშირებით მითითებულია მცდარი ინფორმაცია, კერძოდ მდინარე მტკვარს მყინვარული საზრდოობა არ აქვს;
- სკოპინგის ანგარიშში დეტალურად არის განხილული საპროექტო არეალის ჰიდროგრაფიული ქსელი, ჩამონადენის რეჟიმი, მისი შიდაწლიური განაწილება და მდინარეთა საზრდოობის წყაროები. ამავე დროს არაფერია ნათქვამი მდ. არაგვის ჰიდროლოგიური გაანგარიშების ძირითად შედეგებზე;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, მთლიანი 703678 კვ.მ ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების

მიხედვით, 6777 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს კერძოდ, მცხეთის სატყეო უბნის ჯვრის სატყეო (ყოფილი საკ. ტყე). იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილია სპეციალური ტყითსარგებლობის უფლებლების მოპოვება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი VII-XIV) განსაზღვრული საქმიანობა (საქმიანობისთვის საჭირო წარმოსადგენი დოკუმენტაცია იხ. დანართი N1) ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტყის სტატუსის შეწყვეტის უფლების მოპოვება, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. ტყის სტატუსის შეწყვეტა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 06 ოქტომბრის №496 დადგენილებით „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ'' და შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იქნეს აღნიშნული დადგენილების მოთხოვნები;

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია კვეთს მიწისქვეშა მტკნარი წყლის ლიცენზიის (შპს „ახალი ჯგუფი“, ლიც. #10000345) **პირველ სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას.** „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში - აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე". აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება, როგორც "დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით სარეკრეაციო ზონა 1(რზ-1), ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), სატრანსპორტო ზონა (ტზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სატყეო ზონა, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ), ასევე, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) ნაწილზე

სარეკრეაციო ზონა 1(რზ-1)-ით, სატყეო ზონით, განსაზღვრული ფუნქციური ზონირება და მცირედზე ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. ასევე, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე არ არის განსაზღვრული ზოგადი ფუნქციური ზონირება, მოცემულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონირება შეიძლება დადგინდეს დაგეგმარებითი თვალსაზრისით მოწესრიგებული ტერიტორიის (მაგ: კვარტალის) კვლევის საფუძველზე მიღებული არსებული მდგომარეობის შესაბამისად ან 50 მეტრის გარშემო მდებარე ტერიტორიის კვლევის საფუძველზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების თანახმად, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) — მოიცავს როგორც წესი თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას. ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში (ლსზ) დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობებისა კანონმდებლობის შესაბამისად და ასევე, საკულტო შენობა–ნაგებობების განთავსება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე. წარმოსადგენ გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ყველა შესაძლო დაბინძურების შემარბილებელი ღონისძიებები, როგორც გზის მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პერიოდში.

ასევე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ " ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) წარმოადგენს სარეკრეაციო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა მსგავსი, გარდა სხვა სარეკრეაციო ზონებში მოქცეულისა; რზ-1- ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკების. ასევე, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ " ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, სატყეო ზონა წარმოადგენს ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეს,

რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტყეებსა და სატყეო ტერიტორიებს“; სატყეო ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე ასევე დასაშვებია საკულტო და კანონმდებლობით განსაზღვრული საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხაზობრივი-საინჟინრო შენობა-ნაგებობების განთავსება. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ “ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, სსზ-2-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს – 90%-ისა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების მე-15 მუხლის თანახმად, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ " ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების თანახმად ზოგადი საცხოვრებელი ზონისთვის არ არის დადგენილი სამშენებლოდ განვითარების კონკრეტული პარამეტრები. აქედან გამომდინარე, ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება უნდა მოხდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების 19-ე მუხლის (სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტების დადგენა ჩამოყალიბებული განაშენიანების პირობებში) I პუნქტის თანახმად განვითარების რეგლამენტები ან/და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები შეიძლება დადგინდეს დაგეგმარებითი თვალსაზრისით მოწესრიგებული ტერიტორიის (მაგ: კვარტალის) კვლევის საფუძველზე მიღებული არსებული მდგომარეობის შესაბამისად ან 50 მეტრის გარშემო მდებარე ტერიტორიის კვლევის საფუძველზე. ასევე, საპროექტო არეალის ნაწილებზე ვრცელდება შემდეგი სახის შეზღუდვები: თბილისის შემოვლითი გზის დროებითი შეზღუდვა, გზის მოდერნიზაციის შეზღუდვა, დროებითი შეზღუდვა (საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი - 27.06.2022; 06-01221781247-01), მაღალი ძაბვის სადენის და მისი დაცვის ზოლის შეზღუდვა (ავჭალა 102), სასაფლაოს შეზღუდვა, რკინიგზის შეზღუდვა, მიწისქვეშა გაზსადენის ქსელი, სადრენაჟო ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი (მიწისზედა, საჰაერო). ასევე ფიქსირდება სისტემური რეგისტრაციები მთლიანად 721316042 (უსაბუთო), ნაწილობრივ 721316046 (მესაკუთრ. მეზვრიშვილი). **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია. ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, მცხეთის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;**

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - „საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით" განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- **სკოპინგის ანგარიში მოიცავს ტერმინოლოგიურ უზუსტობებს, ურთიერთგამომრიცხავ და არარელევანტური შინაარსის წინადადებებს, არალოგიკურ ბმებს, ასევე დოკუმენტი სტრუქტურულად გაუმართავია და რთულად აღსაქმელია. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-**

ის ანგარიშის შედგენისას. ასევე გზშ-ის ანგარიშში ცალკე თავების სახით, გასაგებად უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია მთლიანი გზისა და კონკრეტულად საპროექტო მონაკვეთისთვის (ლოტი 2). ასევე, გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გზშ-ის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორისა და დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო რელევანტური ინფორმაციის წარმოდგენისთვის პასუხისმგებელია საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი.

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, მცხეთისა და თბილისის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, „ნატახტარი (წიწამური)-რუსთავის მონაკვეთის წიწამური-ავჭალის უბნის (ლოტი #2) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.